# სახალხო გაზეთი

№ 357 ხუთშაბათი, 21 ივლისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 357

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ სადამდე 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე, საღამოთი 5—დან 7—მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## დ. ყვირილაში

„სორაპნის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

## „სახალხო გაზეთის"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხელდრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 3. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან, 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ირაკლი ხუტუს ძე, ნესტორ ირაკლის ძე, გრიშა, დიმიტრი და ტარასი გიორგის ძე აბაშიძეები, მინიკო გიორგის ასული, მელენტი ანტონის ასული, ნინო კონსტანტინეს ასული აბაშიძისა, ხანა გიორგის ასული ბერიძისა და ეზე, გიორგი აბაშიძის ასული ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი—საყვარელი ძმის, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე — ბიძის, მეექვსე — მაზლის, ხოლო დანარჩენნი—ბიძის

### ლომკაცი ხუტუს ძის აბაშიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება დანიშნულია ხუთშაბათს, ამ თვის 21, დილის ცხრა საათზე, ქ. ოზურგეთში. (1—1399—1)

### გამოვიდა და იყიდება ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა",

4 მოქმ. დრამა. წიგნის საწყობი: „სახალხო გაზეთის" რედაქცია. (5—2)

### ა. ჯორჯაძის თხზ. მე-2 წ. „ჩვენი საზოგადოებრივობა"

გასასყიდად გამოვიდა. ფასი 80 კ. ხელის მომწერლებმა უნდა მიმართონ იმ აგენტებს, ვისთანაც ხელი მოაწერეს. (3—2)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის ომიავალი ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—97)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეს. ამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., რეშ., და პარ. 10½—11 ს.

დგებუაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და აბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ., დროებით წასულია.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოზიოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს. დროებით წასულია.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. დროებით წასულია.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც., კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმებადა სხვა შემდგავთ. სადასტურიოთ. (წ.—1089—516)

### „სახალხო გაზეთის" რედაქცია და კანტორა გადავიდა

სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში. შესავალი ეზოდან.

№ 3. **დილის წარმოდგენა** № 3.

ავლაბრის თეატრი (ამო ხარაზიანისა)

კვირას, 24 ივლისს, 1911 წელს.

ქართულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარე ახალგაზრდების წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ა. სუმბათაშვილის ცნობილი დრამა

### ღალატი

5 მოქმედებად თარგმანი ყიფშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი კავთელი, ლელაშვილი, მარგველაშვილი, რჩეულოვისა, ბ-ნნი ფრანგიშვილი, მირზაშვილი, თავდგირიძე, ყანჩელი, კილოსანიძე, სარაული, ოდიაშვილი, ქართველიშვილი, მაჭავარიანი და სხვა.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე თიატრის კასაში.

ადგილების ფასი 50 კაპ. 10 კაპეიკამდე. დასაწყისი ნაშუადღევის 12 საათზე. (2—1400—1)

მორიგე გამგე გ. მეფარიშვილი.

ტელეფ. 795. **ახალი კლუბი** ტელეფ. 795.

(თ.-აზნაურობის საზაფხულო ბაღი და თეატრი).

ხუთშაბათს, 21 ივლისს, 1911 წ. წარმოდგენილ იქნება:

### საბავშვო დილა

სინემატოგრაფით და საბავშო გასართობებით.

წევრთა შვილები და იმათიც, ვისაც სეზონის ბილეთები აქვთ, შესასვლელ ფასს არ იხდიან.

ფასი სტუმართათვის: კაცი—50 კ., ქალ. და სტუდ. 25 კ., ბავშვები—10 კ. დასაწყისი საღ. 6 ს.

ანონსი: პარასკევს, 22 ივლისს, **იაფი ლოტო.** (1—1394—1)

ტფ. ქართული საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდი მიხეილ კავსაძის ლოტბარობით გამართავს:

### ქართულ კონცერტებს:

სურამში—21 ივლისს, ბორჯომში—22 ივლისს და წაღვერში—23 ივლისს. 25 კაცისაგან შემდგარი გუნდი ახლად შეკერილ ქართულ ქულაჯებითაა გამოწყობილი და შეასრულებს ხალხურ სიმღერებს. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი ყველგან 9 საათზე. (1—732—1)

გამგენი: ნიკ. ჭიჭინაშვილი და ნიკ. კავსაძე.

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვოზნოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ისხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა., ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—72)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა. (უ)

აბასთუმანში კბილის ექიმი **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს. „დაჩა" ტერმარქაროვისა. (თ.—1333—30)

ქუთაისში **ექიმი მ. ი. ჩხენკელი** შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგ იოსელიანის სახლი. (თ.-1321—34)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაჩეჩილაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხოზიოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606"-ით.** (წლ.—1090—114)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო **მიხეილ გედევანიშვილისა** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—65)

**ექიმი გ. მუსხელიშვილი** სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარედ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს ხელმძღვანელად არ მიიღებს.

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგანი და ბავშვების სნეულება, დილის 8—11 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე., კვირაობით დილის 9—12 ს.-მდე. ალექსანდრეს ქ. № 3. (თ.—1389—5)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. ი—102

დოკტორი მედიცინისა **ი. გ. ჩუდნოვსკი** კიროჩნის ქ., სახ. № 18. ოფიცერთა ეკონომ. საზოგ. პირდაპირ. იღებს შინაგან და ნერვებიან ავადმყოფთ—ყოველ დღე დილას 9—11 ს., საღამოს 5—8 ს. (10—1336—7)

სურამში კბილის ექიმი **ნინო რცხილაძე** მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

### გამოვიდა და იყიდება

ქ. მ. წ.-კ. გ. საზ. წიგნის მაღაზიაში, სოხიკო მერკვილაძესთან, საქართველოს ყველა ქალაქებისა და დაბების წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე სადგურებზედაც

**ალ. ტუთაევის** ახალი თხზულება: „მეორე კაენი", დრამა ხამ მოქმ. და ეპილოგი. ფასი 30 კ. იქვე იყიდება ამავე ავტორის შემდეგი პიესები: „ცოლი ვიტირო, თუ ფული", ფასი 15 კაპ. „უმარილის ბრალია", ფასი 10 კ. „ბედმა მიღალატა", ფასი 20 კ. „უშნო არშიყი", და გოდევილი „სოფიო" 20 კ. ყველა პიესები ნებადართულია წარმოსადგენად. (15.1397.2)


## ტფილისი, 21 ივლისი

**თავად-აზნაურობა და საფილოქსერო კომიტეტი.**

ამ რამდენიმე ხნის წინად თავად - აზნაურთა კრებაზე, სხვათა შორის, ლაპარაკი ჩამოვარდა საფილოქსერო კომიტეტის ცაარსების შესახებ. ხსენებული კომიტეტი ფულსა სთხოვს თავად-აზნაურობას. მაშინ კრებაზე ბევრმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საფილოქსერო კომიტეტი ბევრს ფულსა ხარჯავს ფილოქსერასთან საბრძოლველად, მაგრამ მაინც არავითარი რეალური ნაყოფი არ მოაქვს ამ ბრძოლასაო. მართლაც, ვინც კი ცოტათი მაინც იცნობს ამ კომიტეტის მოღვაწეობას, უსათუოდ დაგვეთანხმება, რომ შრომა და ფული ძალიან უსისტემოდ და უნაყოფოდ იხარჯება. ფილოქსერასთან ბრძოლა მხოლოდ მაშინ დადგება მტკიცე ნიადაგზე, როდესაც მასში ფართე საზოგადოებრივი დაწესებულებანიც მიიღებენ მონაწილეობას და არა მხოლოდ უკიდურეს კანცელიარიზმით გაჟღენთილი ბიუროკრატიული დაწესებულებანი. საფილოქსერო კომიტეტი კი ერთი იმ დაწესებულებათაგანია, რომელიც გაურბის ამ საზოგადოებრივობას და სურს საქმეს თავის, კანცელარიის, წესით მოუარის. თუ რამდენად კარ-ჩაკეტილია ეს დაწესებულება და რამდენად გაურბის საზოგადოებრივ ორგანიზაციას ფილოქსერასთან ბრძოლისას, ეს სხვათა შორის იქიდანაცა სჩანს, რომ კომიტეტი არავითარ ცნობებს არ იძლევა თავის მოღვაწეობის შესახებ.*)

როდესაც ოფიციალური დაწესებულებანი იმისთანა საქმეში, როგორიც ფილოქსერასთან ბრძოლაა, კარ-ჩაკეტილობას იჩენენ, საქმეს არაფერი არ შეემატება. ფილოქსერასთან ბრძოლა თავისის არსებით იმნაირია, რომ საჭიროა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ბრძოლისა. მით უფრო საჭიროა ეს მაშინ, როდესაც ასეთი დაწესებულება საზოგადოებას მიმართავს და დახმარებასა სთხოვს. თავად-აზნაურობა საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, და როდესაც საფილოქსერო კომიტეტი თავად აზნაურობას ფულსა სთხოვს, კიდეც უნდა მისცეს მას გარანტია, რომ ეს ფული ნაყოფიერად დაიხარჯება. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ თუ ფილოქსერასთან ბრძოლა ისევ იმავე წესით აწარმოეს, როგორც დღემდის აწარმოებდა საფილოქსერო კომიტეტი, რაიმე ნაყოფი შეიღონ. ყოველ შემთხვევაში, თავად-აზნაურობა, სანამ ამ ფულის გადადებას გადასწყვეტამდის, ვალდებულია შეიმუშავოს დაწვრილებით გეგმა მოქმედებისა და ფილოქსერასთან ბრძოლის საშუალებისა. ეს საქმე კი მას შეუძლიან მიანდოს ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას. ამ უკანასკნელმა კი პირდაპირ და გულ-ახდილად უნდა შეაფასოს მოღვაწეობა საფილოქსერო კომიტეტისა, და თუ რაიმე ნაკლს დაინახავს, კიდეც აღნიშნოს. გარდა ამისა ფილოქსერასთან ბრძოლა, ეს ერთი მოვალეობათაგანია ქართულ სამეურნეო საზოგადოებისა, და ამიტომ უკეთესი იქნებოდა, თუ ამ საქმეს თვით საზოგადოება გაუძღვებოდა და არა საფილოქსერო კომიტეტი, რომელმაც არავითარი ღონისძიება არ მიიღო, რომ საზოგადოება დაეახლოვებინა და იმასთან ერთად ეწია მძიმე უღელი ფილოქსერასთან ბრძოლისა...

**მოუხდებათ საფრანგეთს და გერმანიას ომი თუ არა?**

ამ ბოლო დროს, როგორღაც, ხმამაღლივ დაიწყეს ლაპარაკი საფრანგეთ - გერმანიის ომის შესახებ. გადაავლეთ თვალი გუშინდელ „უცხოეთს" და კარგად დაინახავთ, თუ როგორ აწეწილია ევროპის საქმე. სახელმწიფოთა მთავრობანი თავის გულის-ნადებს დიდი ერთგულებით ჰფარავენ, მაგრამ სწორედ ეს ამტკიცებს, რომ „ევროპას ეხლა შავ-ბნელი ღრუბლები დააწვა". ეს „ღრუბლები" ჯერ-ჯერობით მხოლოდ საფრანგეთსა და გერმანიას დასტრიალებს თავს, მაგრამ, ეჭვს გარეშეა, რომ თუ იქექეს, მთელ ევროპას შეაჩოჩქოლებს. არც ის არის საიდუმლო, რომ გერმანიას ომი სულ-მწარედ უნდა, მაგრამ თან კი ეშინიან. მისი პირადი მტერი ინგლისია. ამ საუკუნის დასაწყისიდან, გერმანიამ თავისი ეკონომიური ცხოვრება გააფართოვა, მისი ნაწარმოები ინგლისის ნაწარმოებს ყველგან ქიშპობას უწევს. დედამიწის ზურგზე ერ-

*) ამ რამდენისამე ხნის წინად ჩვენმა თანამშრომელმა მოითხოვა სია იმ პირთა, რომელნიც საფილოქსერო კომიტეტმა დაასაჩუქრა სოფლებში, მაგრამ ეს სია არ მისცეს. რედაქცია.

თი კუთხე აღარ არის ისეთი, სადაც ინგლისისა და გერმანიის სავაჭრო ერთმანეთს კრიჭაში არ ედგნენ. ადრე თუ გვიან, ასეთი მდგომარეობა ომით გათავდება. ეს კარგად ესმის გერმანიას; ამიტომ იგი ომისათვის დიდი ხანია მზადებას შეუდგა. იცის, რომ მისი მოპირდაპირე, ინგლისი, ძლიერია, რომ მასთან ომი მხოლოდ ზღვაზე მოუხდება და ამიტომ თავისი საზღვაო სამხედრო გეგმა გააფართოვა. გერმანიას ეხლა ისეთი გეგმა აქვს შედგენილი, რომ **1914** წელს, მისი სამხედრო საზღვაო ძალა, ინგლისისას აღარ ჩამოუვარდება. ჯერ ეხლაც გერმანიას ამ მხრით დედამიწის ზურგზე მეორე ადგილი უჭირავს (პირველი ინგლისს), ასე რომ მას ინგლისთან ბრძოლა არც ეგრე რიგად გაუჭირდება, მაგრამ მაინც ფრთხილობს. მაგრამ საკითხავი ერთი რამეა: თუ გერმანიის მტერი ინგლისია, მაშ საფრანგეთს რათ ჩაჭიდა ხელი და რათ ემუქრება ომსა? აქ არ შეიძლება არ აღვიაროთ, რომ გერმანიას საფრანგეთთანა ჰსურს ომი. თავის-თავად საფრანგეთი გერმანიისათვის საშიში როდია. იგი დიდი ხანია პოლიტიკურ „რევანშზე“ აღარა ჰფიქრობს, ეკონომიურად კი იგი გერმანიას ქიშპობას ვერ გაუწევს. მაშ რა უნდათ გერმანელებს? აი რა; ერთმა გერმანელმა პროფესორმა განაცხადა: საფრანგეთი ძევლად უნდა გვყავდეს იმ შემთხვევისათვის, როცა ინგლისთან ომი მოგვივაო, ეს ასე უნდა აიხსნას: გერმანიას ინგლისთან ომი ხომ ზღვაზე მოუხდება; ზღვაზე ინგლისი ძლიერია. თუ გერმანიის ფლოტს საფრანგეთის ფლოტი მოემატება, მაშ გერმანიისა და ინგლისის ფლოტი გათანასწორდებოდა, გერმანიის ფლოტი გადააჭარბებს კიდეცა. ამიტომ, მოსალოდნელია, რომ თუ გერმანია საფრანგეთს დაამარცხებს, კავშირს მოსთხოვს და იმის ფლოტს თითონ ჩაიგდებს ხელში.

ასეთი მაგალითი ისტორიაში პირველი ხომ არ არის? აი სამთა კავშირი შეჰკრეს პრუსიამ, პრუსიას მიერ დამარცხებულმა ავსტრიამ და იტალიამ, რომელსაც ავსტრია ქირივით ეჯავრება.

ამ რიგად გერმანია ზურგს მოიმაგრებს და ინგლისს თამამად შეჰხედავს. ასეთი ანგარიში აქვს გერმანიას. ეს ინგლისს, კარგად ესმის. ამიტომ გერმანიას არას-დროს არ მისცემს იმის ნებას, რომ მან საფრანგეთი დაამარცხოს. ამიტომ იყო, რომ ასკვიტმა ისე ხმა მაღლივ განაცხადა: ინგლისი საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკებაში აქტიური მონაწილე უნდა იყოსო. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ინგლისის ფლოტმა ბრძანება მიიღო, გერმანიის ნაპირებისაკენ გასალაშქრებლად მზად იყავიო. აქედან ნათლად სჩანს, რომ ინგლისი ძალიან უფრთხილდება საფრანგეთს. გერმანიის მიერ საფრანგეთის დამარცხება ინგლისს მტერს გაუძლიერებს. ამიტომ ეჭვს გარეშეა, რომ თუ გერმანია საფრანგეთს შეებრძოლა, ინგლისი საფრანგეთს მარტოს არ დასტოვებს. ეს კარგად დაინახა გერმანიამ და ამიტომ საფრანგეთთან შებრძოლებას ვერ გაჰბედავს: საფრანგეთთან ბრძოლა ინგლისთან ბრძოლა იქნება.

ყველა ეს გვაფიქრებინებს, რომ ლაპარაკი იმის შესახებ, ვითომც საფრანგეთისა და გერმანიის შორის ომი მოსალოდნელიაო, უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს.

## ნარკვევი

(ჟურნალ გაზეთებიდან)

ხმა გავრცელდა, საკანონმდებლო დაწესებულებებში უნდა შეიტანონ დროებით ვალდებულ გლეხთა მდგომარეობის შესახები პროექტი, რომლითაც ბოლო უნდა მოეღოს ამ ინსტიტუტს კავკასიაში. „რუსკია ვედომოსტი“ განმარტებს ამ ინსტიტუტს და მის მოსპობის საჭიროებას.

...მომავალი რეფორმა სოფლის მცხოვრებთა ორგვარ ჯგუფს უნდა შეეხოს: ერთის მხრივ იგი შეეხება მემამულეთა მიწებზე მოსახლე გლეხებს, მეორეს მხრივ—სახაზინო გლეხთ, რომელნიც დასახლებულნი არიან უმაღლეს წოდების მიწებზე (ბეგებისა, აღალარებისა, მელიქებისა და სხვ.), კავკასიაში მემამულის უდასტუროდ საგლეხო დებულებით შეიძლებოდა გლეხს გამოესყიდნა სამოსახლო ადგილი. იძულებითი გამოსყიდვა არ იყო კავკასიაში შემოღებული და სანადელიც მიწა დღევანდლამდეც გამოუსყიდავია.

რაც შეეხება იმ ჯგუფს, რომელნიც მემამულეთა მიწაზე მოსახლობენ, იმათი ისტორია დაკავშირებულია საერთოდ რუსეთის პოლიტიკასთან კავკასიაში, რომელიც ძლიერ წააგავს ინგლისელების პოლიტიკას ინდოეთში, რომელმაც მიწები ჩამოართვა გლეხობას და კერძო მიწათ-მფლობელობა შეჰქმნა, რაც უწინ აქ არ არსებობდა.

... მეორმოცე წლებიდან რუსეთის მთავრობა იმ აზრის განხორციელებას შეუდგა, რომ ბეგებისთვის და აღალარებისთვის ჩამოერთვათ მიწები და ამასთანავე ის თანამდებობანიც, რომლის ჯილდოდაც ეს მიწები ჰქონდათ ბოძებული. მათს თანამდებობა კი მოხელეებისთვის მიენდოთ, მაგრამ თ-დ. ვორონცოვის დროს ეს მიდრეკილება ისევ შეიცვალა. საჭიროდ დაინახეს აღალარებისათვის ისევ დაებრუნებიათ ჩამორთმეული მიწები და ბეგებისთვის კი, რომელთაც ჯერ არა ჰქონდათ ჩამორთმეული, დაემტკიცებინათ. ეს განხორციელდა **1846** წ. 6 დეკემბ. ამ წესით დამყარდა ბატონ-ყმობა: გარდა მიწის გადასახადისა, გლეხს მებატონის სასარგებლოდ დაეკისრა მოსამსახურეს მიცემა, საბატონო გადასახადი.

მებატონეს მიენიჭა უფლება გლეხის გაწკეპლვისა და პოლიციური უფლებაც მის მამულზე მოსახლე გლეხ-კაცებზე. გლეხებს ეკრძალებოდათ მამულიდან გადასახლება და სხვა.

**1870** წ. **14** მაისამდე არ შეიძლებოდა ღალისა და ჰაზის გადახდა ფულად, არც თავის დახსნა. მაგრამ, რადგანაც გამოსასყიდი თანხა შესდგებოდა ღალის ღირებულობიდან და მაშასადამე ძლიერ დიდი იყო, გლეხები ერიდებოდნენ თავის დახსნას, ასე რომ ეს კანონი არა ხორციელდებოდა.

ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ცნობებით, ამ გუბერნიაში **1901** წელს **22,000** ვალდებული გლეხი ყოფილა... იმ უმწეო მდგომარეობის მიხედვით, რომელშიაც იმყოფებიან ეს გლეხები, თითქმის ყველა კომიტეტმა, ერთის გარდა, საჭიროდ სცნო დროებით ვალდებულების მოსპობა.

ამ საკითხის გადაწყვეტა იმდენად მომწიფდა და გაჭიანურდა, რომ არც კი ღირს მისი გადაწყვეტის საჭიროებაზე ლაპარაკი. იმედი ვიქონიოთ რომ იგი მალე განხორციელდება“-ო.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

◆ ბოლო ხანებში მიმოსვლის გაუმჯობესებას კავკასიის ადმინისტრაცია დიდ ყურადღებას აქცევს. ამ მხრივ საერობო გზებზე ბევრი ხიდი ააშენა. სხვათა შორის მდინარე ლიახვზე და მის ფშე ყანაზედაც შენდება ხიდები. ტფილისის გუბერნატორს **ა. გ. ჩერნიავსკის** გორის მაზრაში უკანასკნელ მოგზაურობის დროს დაუთვალიერებია ეს ხიდები და შენიშვნა მიუცია, რომ ძლიერ დაგვიანდა მათი დამთავრება. ხიდები აპრილისთვის უნდა ყოფილიყო მზად და ჯერაც არ არის. გარდა ამისა, ა. ჩერნიავსკის ბევრი ნაკლი აღუნიშნავს და დეპეშით გამოუწვევია მეთვალყურე ინჟენერ—ტეხნოლოგი, რათა დაუყონებლივ შეასწოროს ყოველივე ნაკლი.

◆ **ტფილისის გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკის შეკითხვაზე** დიდხევის არხის მოწესრიგების თაობაზე **ქალაქის მოურავმა აცნობა** მას, რომ ამ საქმის დაწყება მომავალ წლამდე შეუძლებელია, რადგანაც არხის გაკეთებისათვის საჭირო კრედიტი **1912** წლის ხარჯთ-აღრიცხვაშია შეტანილი. მუშაობაც ამის გამო მომავალ წლამდე ვერ დაიწყება. ამ საქმის ტეხნიკური მხარეც ჯერ საბოლოოდ არ გადაწყვეტილა ქალაქის სატეხნიკო კომისიაში.

◆ **სახლების ეზოები** 20 ივლისს დათვალიერებულ იქნა მალაკანთა ქუჩაზე. გალუშკინის სახლის № 19 ეზო მეტად უსუფთაო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

◆ **ტრამვაის დირექტორი ინჟ. ბელლოი** 19 ივლისს ბრიუსელიდან ტფილისში დაბრუნდა.

◆ **საგანგებო სასანიტარო კომისიამ** 19 ივლისს, საღამოს დაათვალიერა ავლაბრის კლუბი, სადაც სამზარეულო მეტად უსუფთაო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამავე დღეს კომისიამ დაათვალიერა ტფ. საკრებულო და კრუჟოკი. უკანასკნელ ადგილას საყინულე მეტად უსუფთაოდ აღმოჩნდა. აქვე ნახეს ძველი სანოვაგე. შესაფერი ზომები მიიღეს.

◆ **ინგლისელთა კომიტეტი საქართველოს შესასწავლად.** „ზაკ. რეჩ“-ის სიტყვით, ლონდონში ინგლისელებს შეუდგენიათ საგანგებო კომიტეტი, რომელმაც უნდა შეისწავლოს საქართველო, მისი ისტორია-ლიტერატურა და პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა.

◆ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო ყოველკვირეული სამეურნეო ქართული ჟურნალი **„მოსავლის“ გამოცემანი: „ბამბის თესვა“**—ნ. ტარატინოვისა.—ფასი ერთი შაური, **„იონჯა“**—ვ. გულბაათაშვილის რედაქტორობით—ფასი ერთი შაური, **„კანონი ფილოქსერისა და ვენახის ყველა სხვა დამზარალებელ სენთა წინააღმდეგ“**—ფასი სამი შაური.

**მეორე კაენი**—დრამა სამ მოქმედ.—თხზულ. **ალ. თუთაევისა**—ფასი ექვსი შაური.

### წვრილი ამბავი

◆ **ჯიბგირები.** 16 ივნისს, გოლოვინის პროსპექტზე ვასილ თედეშვილს გარს შემოეხვია ოთხი უცნობი და ჯიბიდან ფულის ამოცლა უნდოდათ. თედეშვილმა ჯოხით მოიგერია. ერთმა უცნობთაგანმა მუშტით თვალი დაუშავა. ამ დროს პოლიციელებმაც წამოასწრეს და ერთი მათგანი შეიპყრეს. დანარჩენები მიმალნენ.

◆ **19 ივლისს ელისაბედის ქუჩის კუთხეში ტრამვაის ვაგონი № 34 დაეჯახა ტრამვაის ვაგონს № 96. უკანასკნელი ვაგონის კონდუქტორი გრიგოლ გუძი მსუბუქად დაშავდა.**

◆ **19 ივლისს ტფილისში შეიპყრეს 13 უპასპორტო.**

◆ **18 ივლისს, საღამოს, რიყის ქუჩაზე, ავტომობილი № 81 ჯერ დაეჯახა ფირს, რომელსაც ნახშირი ეკიდა და შემდეგ ეტლს № 360. ეტლის ცხენი მძიმედ დაშავდა. შოფერს გიორგი ქერბალიძეს სამართალში აძლევენ.**

◆ **17 ივლისს ვასილი გ[illegible] სათორნიდან, რომელიც [illegible] 8 მან. მოიპარეს. ეჭვით შეიპყრეს ივან მინაგაროვი.**

◆ ბაზრის მეთვალყურემ ე. დ ომიძემ ოქმი შეუდგინა 16 კაპ. ნაცვლად 23 კაპიკად ცხვრის ხორცის გაყიდვისთვის ყასაბს გიორგი თემურაზოვს, რომელიც ანდრეევის კუთხეში ვაჭრობს.

◆ მეპურემ ფირანა სვანმა პოლიციას განუცხადა, 18 ივლისს სათორნიდან, რომელიც არკადის შესახვევში არის, ვიღაც უცნობმა სასწორი მომპარა, 10 მან. ღირებულიო. ეჭვით შეიპყრეს გრიგოლ მატინიანცი.

◆ 19 ივლისს, მადათოვის კუნძულზე ტრამვაის ლიანდაგთან სანამ ფიცრებით დატვირთულ დროგს დასცლიდნენ, ვაგონების მოძრაობა 15 წამით შესწყდა, საღამოს ცხრის ნახევარზე ტოკის შეწყვეტისა და მავთულების გაფუჭების გამო ვაგონების მოძრაობა 40 წუთით შესწყდა.

### საზოგადოებანი და კრებები

◆ **ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოების** განყოფილება ბაქოში მოკლე ხანში გაიხსნება.

◆ ქართ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს გუშინდელ საგანგებო კრებაზე განიხილეს რამდენიმე მორიგი საქმე. მოქმედების გეგმის განხილვა კი ვერ დაასრულეს.

**ამ კრების განგრძობა დანიშნულია დღეს საღამოს 8 საათისათვის,** იმავე დარბაზში.

### რკინის გზაზე

◆ მოკლე ხანში რკინის გზებზე გამოუშვებენ მესამე კლასის სამგზავრო ვაგონებს, რომელშიაც ეხლანდელი ხის გრძელი სკამების მაგიერ ვენურ სელის სკამებს დასდგამენ. ეს ცვლილება, როგორც ამბობენ, იმ მოსაზრებამ გამოიწვია, რომ მგზავრები იძულებული გახდებიან თავისი ბარგი ბაგაჟში მისცენ.

◆ საგზაო მინისტრმა განკარგულება მოახდინა ყოველ მატარებელში, სადაც რამდენიმე ერთნაირისხოვანი ვაგონი იქმნება, ერთი ვაგონი თუთუნის მწეველთათვის იყოს დანიშნული.

◆ **სად. ბაქო.** (საბარგო) 18 ივლისს როდესაც სადგურიდან მარტო ორთქლმავალი № 806 გავიდა, ბორბლებ ქვეშ გან-

# ფრიდრიხ ნიცშე

**წერილი მეოთხე.*)**

წინა წერილში ჩვენ განგებ შევჩერდით, რათა შემდეგში უფრო თამამად მოვქცეულიყავით ნიცშეიზმის გადმოსაცემად.

შტირნერმა თითქოს ინსტიქტით იგრძნო, რომ მისი „პიროვნების“, ანუ მის საიდუმლო „მე“-ს განმახორციელებელი ისევ მის მზგავსი ძლიერი პიროვნება იქმნებოდა, მის მზგავსად განმარტოებული და საიდუმლოებით მოცული, ვითარცა ერთ დროს ნილოსის ველში მცხოვრებთა სფინქსი. ალღომ არ უღალატა. გამოჩნდა კაცი, რომელიც სიტყვით და საქმით ყველასათვის მიუწვდომელია. მაგრამ ყური დავუგდოთ თვითონ ნიცშეს, ის უფრო მეტს გვეტყვის:

„რა მოწყენილი შემოდგომაა!—სწერს იგი ერთ თავის მეგობარს;—ყოველ მხრიდან ტყვიის ფერად ჩამობნელებული ატმოსფერა სრესავს სულსა და გულს. არავინ არა სჩანს, რომ ერთი წუთით გამოანათოს. სრულმა სიცარიელემ დაისადგურა ჩვენს გარშემო. ხოლო ერთად ერთი იგივე შავბნელი ცხოვრების საკითხები შავ ყორანსავით მომჩხავიან და მოსვენებას არ მაძლევენ!“—შემდეგ იგი შეეხება თავის ახალს თხზულებას „სიკეთისა და ბოროტების გარდაღმა მხარეს“ და ნაღვლიანად შეჰნიშნავს: „ეს წიგნი ისეთ განათლებულთათვის არის დაწერილი, როგორიც არის, მაგალითად, იაკობ ბურხარდი და ტენი, რომელთაც დიდი ხანია ჩემს საკუთარ მკითხველებად ვთვლი. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემი წიგნი მათთვის ზედმეტი ბარგია: მათ ის არა ჰსურთ, რაც მე მინდა, ჩემში იმას არ დაეძებენ, რაც მე მსურს. აი, ესეც შენი სულის ობლობა! არავინ არა მყავდა და დღესაც არავის ვხედავ, ვისაც შეეძლოს ჩემთან „ჰოს“ თქმა, ანუ „არა“-სი*).

ჭეშმარიტად! განხორციელებული ზეკაცი, განდეგილი აზროვნების უდაბნოში, ნიცშე საიდუმლოების გასაღებად ხელთ არას გვაძლევს. მას ერთი თუ ორი იცნობდა, მაგრამ ეს ცნობა იყო გარეგანი, ვინაიდან, იგი ისეთივე მიუწდომელი იყო, როგორიც შტირნერის მე. იგი მთელი თავის ცხოვრებით, მთელი თავისი აზროვნებით შტირნერის ძლიერი გამოურკვეველი პიროვნებაა, აჯანყებული ზეკაცის სული, რომელიც დაუდგრომლად მიილტვის წინ. იგი თავისი თავის უაღრესი მეუფე არის, არ იცნობს მონას, არ იცნობს ბატონს, **ni Dieu, ni maitre!** იგი არ არის „საქონლის წევრი“, არც თუ ბრბოს გამგე „მენახირე“.

ამ განვითარების ხანაში ნიცშე უბრუნდება თავის თავს სრულიად განახლებული სახით. იგი აზროვნებდა შოპენჰაუერის ვოლუნტარიზმით (ნების მეცნიერებით), ახლა ნიცშე საკუთარი მოაზრეა, გამოცდილი, შტირნერივით ძლიერი პიროვნების წამომყენებული. ეხლა ნების-ყოფა ბრმა ბედისმწერელი ბოროტება კი არ არის, არამედ ძლიერების გამოჩენასა ნიშნავს, რომლისაკენაც მიისწრაფვის მთელი ცხოვრება, ნება ძალისაკენ—აი რა! (**Wille zur Macht**) ნიცშეს აზრით, უწინარეს ყოვლისა, „ცხოვრება ნიშნავს მუდმივ წინ სრბოლას, სისასტიკესა და ულმობელობას, რათა თამამის ფეხით გადასთელოს ყოველიფერი ის, რაც წინ გადაეღობება, რაც რომ სუსტია, რასაც ან ვისაც ბრძოლა არ შეუძლიან, რაც განსახრწნელად დანიშნულია“*). ბრძოლა და მუდმივი წინ სრბოლაა გამომწრთობი თვითეული ინდივიდუუმისა, მისი ამმაღლებელი და გასპეტაკებელი.

სწორედ ამ დროს მის მიერ წამოყენებული პრობლემები „ყოველივე ღირებულების გარდაფასება“ გამოიხატა.

„მე ბედნიერება“ მქონდა,—ამბობს ნიცშე,—ბევრი შეცდომისა და გზაკვალის აბნევის შემდეგ ხელ-ახლად მეპოვნა სწორე გზა, რომელიც მისდევს „ჰოს“ ან „არას“. მე ვასწავლი „არას“ ყოველივე იმის შესახებ, რაც ძლიერებას მიანიჭებს“. სათნოება, გულშემატკივრობა, თანაგრძნობა, მოწყალეობა—ყველა ეს ნიცშესათვის გაცვეთილ ღირებულების ტერმინებია. ნიცშეს სძულს ყველა ესენი, ვითარცა ადამიანის ღირსების დამამცირებელი ნიშნები. მართალია, ნიცშეს „პიროვნება“ არ არის შტირნერის „მე“ სავით სრული ღვთის თანამზგავსი, მაგრამ ის ხომ ხიდია უაღრესობაში გადასასვლელად, მაშ რაღა საჭიროა ესოდენი დაბრკოლებანი? ნიცშემ კარგად უწყის, რომ თვითონაც არ არის სრული, ამიტომაც არის, რომ იგი სულ იმის ცდაშია, „თავის თავსაც არ ემზგავსოს“,—ვინაიდან რაც რომ ძლიერია, ღრმა, არ ითმენს, „მზგავსი ჰყავდეს“. ნუთუ ზიზღს არ უნდა აღუძრავდეს ადამიანს მასკარადული სამოსელი, რომელშიაც ჰსურთ ღვთაებრიობა გამოახვიონ?**)

ამნაირად, წავიდა ის დრო, როდესაც ნიცშე იდილლიით მიმოჰფრინავდა ზეცის ბჭეში, როდესაც თავის მასწავლებელ შოპენჰაურის მოძღვრებაზე აშენებდა თავის მსოფლიო მხედველობას. შოპენჰაური ახლა მისთვის აღარ არსებობს, ეს ის შოპენჰაური, რომელიც სიყრმიდანვე მთელს მსოფლიო მწუხარებას თავის გულმომწყვლელ ებანის სიმებს მკვნესარი ხმებით დაამღერდა; ეს ის შოპენჰაუერი, რომელიც უცოდველ ბალღის გამალებით ესწრაფებოდა რაღაც მაღალს, რაღაც იდეალურს სიწმიდეს, რის შესახებაც თითქოს ძილშიც მოესმოდა რაღაცა იდუმალი ხმა, ხმა ზენაარსი, გარდაღმა მხრიდან მოდენილი, რომელიც განუმტკიცებდა რწმენას, ზე-გრძნობიერს და ზე-დროულ არსებობის დაჯერებას. ეს არსებობა შოპენჰაუერმა „ნირვანას“*) სახელით აღნიშნა. ნირვანა ნიშნავს „არყოფნას“ (**non-être**). და აი ამ „არყოფნის ქვეყანას“ მისთვის გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ნამდვილს, ხილულ ქვეყანას. მისი შემეცნება, შოპენჰაურისთვის არის „საუკეთესო“ შემეცნება. იგი ძალაუნებურად მისტიურ სამეფოში დასცურავს და ამ „არ-ყოფნის“ მხარეს აი რაგვარად ახასიათებს: „ნირვანა ნიშნავს „არ-ყოფნას,“ მაგრამ იგი მხოლოდ ჩვენთვის არის არარა, ეს ჩვენთვის-მეთქი, რომელთათვისაც ჯერ კიდევ ამ ქვეყნიური ცხოვრება ყოველიფერია, ხოლო ეს ყოველიფერი საიმქვეყნო ცხოვრებასთან შედარებით არარა არის“**) არა, ნიცშესთვის ეს მსოფლიო შოპენჰაუერის ულოღიკო, უაზრო და უსისტემო ჰაოსს კი არ წარმოადგენს, სადაც არიმანი ტახტრევნიდან ძირს სტყორცნის ორმუზდს და საზიზღრად ხარხარებს, თუ ეს უკანასკნელი ამ გადმოგდების დროს ფეხს მოიტეხს, არამედ იდეალური რამ, რომლითაც გამოწვეულია უზომო და უგონო მისი სიყვარული. ამ პერიოდში თამამად შეეძლო ეთქვა ნიცშეს ძველ ლათინთა ანდაზა: **Dum spiro—spero** (სანამ ვსუნთქავ, ვიმედოვნებ!). „რასაც ცხოვრება დაგვპირებია, მას არავის არ დავანებებთ!“—ამბობს იგი ზარატუსტრას პირით. დიახ, იგი იმედოვნებს, იგი არავის არაფერს არ დაუთმობს და ამ ორს ცნებას თავის მოძღვრებას უდებს საფუძვლად და მით აძლევს მას ბიოლოგიურ ჭეშმარიტ სახეს: პიროვნება უნდა დასახელდეს და ზეკაცის ფაზაში გადაიზარდეს. მან უწყის კარგად, რომ ადამიანი ჯერ რაღაცაა, რომელიც თავის თავს უნდა აღემატოს! (ზარატუსტრა). და რატომ ასე? რატომ? იმიტომ, რომ გამოცდილებამ და მსოფლიო განვითარების ისტორიამ ნათლად აჩვენა, რომ დღემდე „ყოველივე არსნი თავისზე მაღალს რამეს ჰქმნიდნენ“ (ზარატუსტრა). ცოტა ქვევით იმავე ზარატუსტრას პირით გვამცნებს, რომ ადამიანი ხიდია მომავალ ზეკაცობისთვისაო, რომელთანაც შედარებით დღევანდელი ისეთივე სამარცხვინო ქმნილება იქმნება, როგორც მაიმუნი ადამიანთან შედარებითაო.“ მან იცის, რომ ვიდრე ამ დიდებულ მიზანს მიაღწევდეს, მან უნდა გაიაროს მეტად მძიმე და სასტიკი გზა, გზა ულმობელობის, გზა განცდისა და შეუბრალებლობის; იცის, რომ მას დიდი ბრძოლა დასჭირდება, გოლიათისებური გამომკვლავება, მაგრამ რას ნიშნავს ყოველივე ეს იმ დიად იდეალთან შედარებით, რომელთანაც არსებული ადამიანი მხოლოდ „სამარცხვინო ქმნილება არის!“ „უმჯობესნი უნდა ბატონობდნენ, უმჯობესსა სურს ბატონობა! და სადაც მეცნიერებას სხვაფრივ ჰქადაგებს, იქ უმჯობესი არ იქნება!“ ასე ამბობს ნიცშე თავის ზარატუსტრას პირით. ამის მზგავსს იდეას განავითარებდა გიუო თავის პოპულიარ დარვინიზმში „განვითარებას,—ამბობს იგი,—შესწევს უნარი მაღალიგვარისა და სახეთა შემოქმედებაში, თვით ადამიანზე უფრო მაღალ სახის გაჩენისაც კი. ვინ იცის, იქნება მოვიდეს დრო, რომ ღმერთის მგზავსნი ქვეყანად დაიარებოდნენ“. და ნიცშეც ხომ ამბობს, როგორც არა ერთხელ და ორჯერ ვსთქვით, „რომ ყოველი არსი თავისზე მაღალ სახეს ჰქმნიდა“... „ადამიანი ქვეყნიერების შემეცნება უნდა იყოს!“ მაგრამ ზეკაცი არ იქნება ქმნილებათა გვირგვინი, მოვა დრო და მის ადგილს დაიჭერს უფრო ძლიერი ადამიანის სახე: „დიონისე“—სიმბოლო ბუნების შემოქმედისა, ნებისა მეუფებისაკენ!“ (ანტიქრისტე). ნიცშემ უწყის, რომ თვით უბრძნესი პიროვნებანი ამა ქვეყნისანი არიან „არა ჰარმონიული სახენი მცენარისა და მოჩვენების შუა“—(ზარატუსტრა).

მკითხველი ადვილად დაინახავს, თუ რათ შევაჩერეთ იგი ამდენ ხანს, ან რათ მოვაბეზრეთ მზგავს ციტატებით თავი. ჩვენი სურვილი იყო დაგვენახვებია, რომ ევოლიუციონური თეორია სრულებითაც არა ყოფილა „შემთხვევითი“ დამატება, როგორც ეს ჰგონია ბ-ნ რობაქიძეს (იხ. „სახალხო გაზეთი“ № 313 „ევოლიუციონური თეორია შემთხვევით დაერთო ნიცშეს მუსიკალურ (?) შეგნებაში წარმოშობილ იდეას ზესთა-ადამიანისა!“). თუ რა შემთხვევით დართობია დარვინის ევოლიუციონური თეორია ნიცშეიზმს, მკითხველო, თქვენ თვითონ განსაჯეთ: დარვინის „სახეთა შერჩევა“ პირველად გამოვიდა 24 ნოემბერს, **1859** წ. თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს ევროპაზე ამ იშვიათმა ადამიანის გონების სასიქადულო შემოქმედებამ, ეს იქიდანა სჩანს, რომ ერთი თვე არ გასულა, რო ხელმეორედ დასჭირდა მისი გამოცემა **1860** წ. 7 იანვარს. ნიცშეს თხზულება კი „ტრაგედიის

---

*) იხ. „სახ. გაზეთი“ N 356.

*) Nr. Kietzehes, Gesammelte Briefe.

*) მხიარული მეცნიერება (Die fröhliche Wissenchaft)

**) „სიკეთის და ბოროტების გარდაღმა მხარეს“.

*) ბ-ნ რობაქიძეს ჰგონებ აერია ეს ადგილი და შეცდომით ნიცშეს მიაწერა, რაც შოპენჰაუერს ეკუთვნის. დ. კ—ძე.

**) ალოიზ-რილი: შოპენჰაუერი და ნიცშე. 159 გვ.

...ხრახ მოჰყვა ტიმოფეი იგნატიევი, რომელიც ორთქლმავალმა შუაზე გასწყვიტა.

## ქუთაისი.

✦ 16 ივლისის კრებაზე საადგილმამულო **ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა გადასწყვიტა** 18 ივლისიდან გამგეობამ ახალი დამფასებლები მოიწვიოს. თუ გამგეობა ძველებს შეაფასებინებს ადგილ-მამულს, ისეთი დაფასება უკანონოდ ჩაითვლება. ეს გადაწყვეტილება ფინანსთა მინისტრის წარმომადგენელს ბ-ნ სოზრიევსკის აცნობეს.

35 წევრის ხელმოწერილი განცხადება კომიტეტმა უყურადღებოდ დასტოვა, სანამ კომიტეტის ყველა წევრნი თავს არ მოიყრიან.

✦ რამდენიმე დამატებითი ცნობები მივიღეთ ქალაქის აფთიაქის ფილიალურ განყოფილების დახურვის თაობაზე.

განყოფილება მუშაობას იმ დღიდან შესწყვეტს, რა დღესაც საგუბერნიო ექიმს სენატიდან გადაწყვეტილება მოუვა. დღეს-დღეობით ამ განყოფილებაში მსახურობს ერთი პროვიზორი, ერთი მისი თანაშემწე, ორი აფთიაქის მოწაფე და ორიც მსახური; უკეთუ ქალაქი ახლავ არ შეუდგა თავისუფალ სა ფთიაქო რაიონის მოძებნას, ექვსივენი რიყეზე დარჩებიან.

✦ შაბათს, 16 ივლისს, თავის ასულის სამარესთან მისულა 70 წლის მოხუცი **ივ. გოგორიშვილი**, დაუცლია ერთი ბოთლი არაყი, დაუყოლებია კარბოლის სიმჟავე და იქვე გარდაცვლილა.

✦ 17 ივლისს, ღამის 11 საათზე, ივანე სიმონის ძე ბაბუნაშვილმა დანით მხარში დასჭრა მსუბუქად დათა ფიჩხაძე.

✦ იმერეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარეს სამრევლო სკოლების მართველებისათვის მიწერილობა დაუგზავნია: ყურადღება მიაქციეთ, რომ მასწავლებლებმა ქალებმა „შანტეკლერის“ კაბები არ ჩაიცვან. „მაიმუნობა და ალმზრდელობა ერთად მოუთავსებელია“—სწერს მამა დეკანოზი მმართველებს.

✦ როგორც გადმოგვცეს, ქუთაისის კლასიკური **გიმნაზიიდან გამორიცხულ რამდენიმე მოწაფეებს**, რომელთაც ნება ეძლევათ სხვა სასწავლებლებში ეგზამენის დაჭერის, თხოვნა გაუგზავნიათ რამდენიმე გიმნაზიაში, მაგრამ არსად **არ მიუღიათ**. („კოლხ.“).

## ბაქო.

✦ ფინანსთა მინისტრის მიერ 14 ივლისს დამტკიცებულ კანონის ძალით, სახელმწიფო ბანკის ბაქოს განყოფილება უკვე შეუდგა ნავთისა და ნავთის ნაწარმოებთა დაგირავებით სესხის მიცემას. სესხს აძლევენ აგრეთვე ნავთის ნაწარმოებზე, ვინც რკინის გზის „ნაკლადნოის“ წარადგენს.

## ბორჯომი.

✦ **ყაჩაღებთან შეტაკება.** დიდის მთავარის ნიკოლოზ მიხეილის ძის მამულთან ეტლში მიმავალ ხუთ უცნობსა და ჯარის კაცთა შორის სროლა ასტყდა. ხანგრძლივ სროლის შემდეგ უცნობებმა იარაღი დაჰყარეს და მიიმალნენ. ერთი უცნობი მოკლული აღმოჩნდა. მას აღმოაჩნდა „მაუზერის“ რევოლვერი და 150 ცალი პატრონა. უცნობთა შესაპყრობად მიღებულია ზომები. სროლაში სამი ჯარის კაცი და ერთი საერებო დარაჯი დასჭრეს.

## ახალქალაქი.

✦ არმენაკ თოროზას ძე თოქმაჯიანცმა სიმთვრალის დროს ქუჩაში უწესობა მოახდინა. გაფრთხილების დროს პოლიციელს ორჯერ ესროლა რევოლვერი, მაგრამ ააცდინა. თოქმაჯიანცი შეიპყრეს.

## პროვინცია.

✦ 15 ივლის სოფ. **აჯამეთში** გლეხ იოსებ ლიკლიკაძეს და მეველე ვარლამ ბარდაველიძეს ჩხუბი მოუვიდათ. უკანასკნელმა რევოლვერი დაახალა მუცელში და მძიმეთ დასჭრა. დაჭრილი ქუთაისის ქალაქის საავადმყოფოს საქირურგო განყოფილებაში ჩამოიყვანეს. დაჭრილი ვერ გადარჩება.

✦ **სოფელ ზეიდარიდან** რამოდენიმე ებრაელი ბრუნდებოდა. მათ დახვდათ ანანოვის ტყეში სამი შეიარაღებული კაცი, ერთი თოფით და ორი რევოლვერით. შეიარაღებულებმა სროლა ასტეხეს, ერთი ებრაელი გულში დასჭრეს, დანარჩენებმა ცხენები გააჭენეს და თავს უშველეს. დაჭრილი ებრაელი ქუთ. საქირურგო საავადმყოფოში დაწვა, მას ექ. რადზევიჩმა გვერდიდან ტყვია გამოუღო და უკვე მორჩენის გზას ადგია. (კოლ.)

✦ **ახალქალაქის მაზრა.** საქონლის ქურდობა დღითი დღე მატულობს, ქურდები მუდამ აღმოუჩენელი რჩებიან. მცარცველები უმეტესს შემთხვევაში თათრებია. უკანასკნელად დაზარალდენ: იორდანე ნიკიფოროვი და პავლე გაჯიევი, რომელთაც ყაჩაღებმა 136 სული საქონელი მოსტაცეს.

## მაჰმადიანთა ცხოვრება.

✦ ამიერ კავკასიის სუნიტთა სასულიერო სამმართველოს წევრს მუსტაფა ეფენდი შარიფ ეფენდი ზადეს გარდაცვალების გამო, **ნამესტნიკის კანცელარია ტფილისის გუბერნატორს შეეკითხა**, მის ადგილზე დასახელებულ კანდიდატთა ზნეობრივ ღირსებისა და სამსახურის უნარიანობაზე, რომელნიც ყადებად ითვლებიან, ან საგუბერნიო მეჯლისის წევრები არიან და ამ თანამდებობის მიღების უფლება აქვთ.

# მეაბრეშუმეობა აფხაზეთში

აბრეშუმის მოყვანა აფხაზეთში პირველად ამ ერთი წლის წინედ დაიწყეს და ისიც მხოლოდ ზოგიერთ სოფლებში. წელს კი ბ-ნმა შარვაშიძემ, ბ. მიქელაიშვილმა და ბ. ტუღუშმა, სოხუმის ყველა ახლო-მახლო სოფლებში მცხოვრებ გლეხებს დაურიგეს აბრეშუმის ჭიის თესლი და ასწავლეს მისი მოვლა მოყვანა. საშინელ ზამთრისაგან გაღარიბებული და შეწუხებული ხალხი, ერთგულად შეუდგა აბრეშუმის მოყვანის საქმეს. საბედნიეროდ პირველმა ცდამ მუქთად არ ჩაიარა და შრომამ ნაყოფი გამოიღო. ყველა ოჯახში მოუყვანიათ პარკი 1-დან 4—6 ფუთამდე, ბ მა შარვაშიძემ და ამხანაგებმა, ქ. სოხუმში მოაწყეს ფარდული, რაც მთელ აფხაზეთში პარკი მოვიდა, ყველას ესენი ყიდულობენ. სამწუხაროდ, ეს ამხანაგობა პარკს ყიდულობს 12—13 და არა უმეტეს 14 მანეთისა, მაშინ როდესაც საქართველოს სხვა კუთხეებში პარკის ფასი 17—18 მანეთია. ამ ამხანაგობის ფარდულში მუშაობს თითქმის 30-თი კაცი, ქალი და ბავშვი. ფარდულს განაგებს ბ. ოდიშარია. ამ უკანასკნელის მეცადინეობით ფარდულში შემოღებულია რვა საათის სამუშაო დღე. დღიურად მომუშავე ქალებს და ბავშვებს ეძლევათ სამი-ოთხი აბაზი. თვიურად მომუშავეთ 17—20 მანეთამდე. გლეხები მეაბრეშუმეობის კმაყოფილნი არიან. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში მთელ აფხაზეთში გავრცელდება მეაბრეშუმეობა; რაც ძლიერ ხელს შეუწყობს აფხაზთა სოფლების კულტურულ და ეკონომიურ წინმსვლელობას.

**ი. ჩხარელი.**

# მოწერილი ამბავი

**ს. ანაგა.** (სიღნაღის მაზრა). ანაგის საზოგადოებამ საჩივარი აღძრა სიღნაღის მაზრის მომრიგებელ შუამავალ თ. ა. ი. ჯორჯაძესთან. საქმის ვითარება ასეთია: ს. ანაგაში 900 კომლია, (გააზატებულ სასულიერო პირთა გარდა). ეგრედ წოდებულმა სასულიერო წოდების პირებმა, გამიჯვნის დროს, რაც კერძო საკუთრება ჰქონდათ, თავის სახელობაზე დაიწერინეს. ამ მამულებზე გაწერილ გადასახადს ისინი იხდიან. ამ მამულის გარდა სასულიერო წოდებას საწირავ-სამარხში, განათლებასა და ჯვრის-წერაში გლეხებისაგან შეძენილი აქვს სხვა მიწებიც. ზოგ მათგანს გლეხებიდან ამგვარად შეძენილი 4—5 დესიატინა მიწა აქვს. ამ მამულის ხარჯს კი დღესაც საერთოდ ანაგის საზოგადოება იხდის. ანაგის საზოგადოებამ მოსთხოვა ამ პირთ სოფელთან ერთად იმ მიწებზე გაწერილი გადასახადი, რომელიც დაიწერინის შემდეგ შეუძენიათ. და სასულიერო პირებმა ხარჯის გადების უარი განაცხადეს.

2 ივლისს, ქ. სიღ. მომრიგებელ შუამავალ თ. ა. ი. ჯორჯაძესთან იუგნენ დაბარებულნი სასულიერო პირნი, და ანაგის ამორჩეული რწმუნებულნი, ნ. გ. გურგენიძე, გ. ი. დარჩიშვილი და სხვანი. სხვა და სხვა საკითხის შემდეგ, შუამავალი თ. ა. ი. ჯორჯაძე ანაგის საზოგადოებას დაჰპირდა, გიშუამდგომლებ თქვენ თხოვნისთვის მთავრობის წინაშეო. **მოჯანყული.**

**ს. ხუნევი** (შორაპნის მაზრა). ეს სოფელი სურამიდან დასავლეთით 27 ვერსის მანძილზეა. ხუნევის საზოგადოება 8 სოფლისაგან შესდგება: ს. წაქვა, ხევის-ჯვარი, გრიგალათი, გეთსმანია, ხუნევი, ვერტყვილის-ჭალა, ბჟინევი და ვერტყვილა; ხუნევის საზოგადოებაში 600 კომლამდეა; ამათგან 12 კომლი ს. ვერტყვილის-ჭალაში მესაკუთრეებად ირიცხებიან (სასულიერო წოდება) დანარჩენი კი სახელმწიფო გლეხები არიან. ამ საზოგადოებაში გლეხები გაჭირვებას განიცდიან.

ამ ბოლო დროს ამერიკულ ვაზის გაშენებას მიჰყვეს ხელი, რომელსაც დიდი სარგებლობა მოაქვს.

ხუნევის საზოგადოებაში მეურნეობა ისე არც ერთ სოფელში არ არის დაშენებული, როგორც ს. ვერტყვილის-ჭალაში, სადაც ადგილიც ხელს უწყობს მიწის მუშას. ეს სოფელი წარმოადგენს გაშლილ ჭალებს, გარშემო გორებით შემორტყმულს, შუაში ჩამოუდის მდინარე ძირულა, რომლის სათავე ოსეთშია. ვერტყვილის მცხოვრებთა მეცადინეობით დვინის მოსავალი კარგია. მცხოვრებნი გაყიდულ დვინის ფასით ყველა საჭირო სანოვაგე-ავეჯეულობას ყიდულობენ. აქ გაშენებული აქვთ დამყნილ ვაზის სანერგეები და 5 მანეთად მაინც ჰყიდიან. სულ 2000 მანეთის ვაზი გადის გასასყიდად სხვა სოფლებში. წელს კი დიდი ვნება იყო მთელი ივნისის განმავლობაში.

სწავლა-განათლება ხუნევის საზოგადოებაში წინ მიდის, არსებობს ამ საზოგადოებაში ორ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, რომელშიაც სწავლობს 100 მოწაფე. ძალიან საჭიროა ზემო-ხსენებულ საზოგადოებაში არსებობდეს საფერშლო პუნქტი, რომელიც თუმცა ამაშუკეთის საზოგადოებაში არსებობს, მაგრამ ხუნევის საზოგადოებიდან ძალიან დაშორებულია. ამაშუკეთის საზოგადოებას ეხლოვება რკინის გზა გინდ ხარაგაულისკენ და გინდ ძირულისკენ. ავადმყოფის მიყვანა რკინის გზამდე გასაჭირო მერე კი იშოვის კაცი კარგ ექიმსაც და წამალსაც.

როცა ხუნევის საზოგადოებაში საფერშლო პუნქტი იქნება, მცხოვრებნი მკითხავებს აღარ მიჰმართავენ.

**ვერტყვილის-ჭალელი.**

# სპარსეთის ამბები

**დეპეშები.**

19 მკათათვე.

**თეირანი.** მაჰმედ-ალის საწინააღმდეგოდ შედგენილ რაზმში 10,000 ქვეითია, 200 ბახტიარი და 300 ფიდაი. ამბობენ ფიდაები იკრიბებიან და შაჰის მხარეზე უნდათ გადასვლა, რომ იგი მოჰკლან და ამის ჯილდო აიღონო. თეირანში მაჰმედ-ალისადმი თანაგრძნობა ძლიერდება, მაგრამ მის მომხრენი ჯერ-ჯერობით იმალებიან, რადგანაც დემოკრატებისა ეშინიანთ.

**თეირანი.** მუიზუს-სალტანეს 20 ცხენოსანმა, რაკი ფული და იარაღი მიიღო, გაიპარა. ბახტიარებსაც ფული და იარაღი დაურიგდათ მაგრამ გალაშქრებას ჯერ არა ჩქარობენ.

**პატარა შაჰი.**

თეირანში დაარსდა კომიტეტი, რომელმაც პატარა შაჰი, ახმედ-მირზა მტრებისაგან უნდა დაიფაროს. მაჰმედ-ალის მომხრეებს უნდოდათ მისი მოტაცება და მისი სახელით მოქმედება, მაგრამ ვერ მოახერხეს. პატარა შაჰმა თავის მამის მოქმედებისა არაფერი იცის.

**ინგლისის პალატაში.**

პალატაში გრეიმ განაცხადა, ინგლისი და რუსეთი, სპარსეთის საქმეში არ ჩაერევიანო.

მაკო კინონ-ვუდმა სთქვა, სპარსეთის საქმეების თაობაზე რუსეთსა

---

წარმოშობა“ დაიბეჭდა 1871 წ., მაშასადამე, ათი-თერთმეტი წლით გვიან. ამ ხნის განმავლობაში „სახეთა შერჩევა“ მრავალჯერ იქმნა გამოცემული. ნუ თუ ისეთი პიროვნება, როგორიც ნიცშე იყო, უყურადღებოდ დასტოვებდა იმ თხზულებას, რომელმაც აზროვნების სფერაში მეტეორივით გაიარა? შემთხვევით მაშინ შეგვეძლო გვეთქვა, თუ დარვინსა და ნიცშეს ერთსა და იმავე დროს გამოეცათ თავ-თავიანთი ნაწარმოები, ან ერთი ორი თვით ადრე, ან გვიან, ან დარვინი უმნიშვნელო ავტორიტეტი ყოფილიყო, ან კიდევ ძველი დრო ყოფილიყო, როდესაც წიგნების შოვნა დეკარტთა და სპინოზებს მთელი წლები სჭირდებოდათ. შემთხვევითი არ ეთქმის ათი წლით გაბატონებულ თეორიას და მით უმეტეს ეს ითქმის ნიცშესი, რომელმაც თავის საუკეთესო თხზულებანი, როგორც არა ერთხელ და ორჯერ აღვნიშნეთ, თექვსმეტ ჩვიდმეტი წლით გვიან დასწერა, ვიდრე „ტრაგედიის წარმოშობა“, მაშასადამე, როდესაც დარვინიზმი 25 წლის მეფობის იუბილეის იხდიდა?

მაგრამ დავანებოთ თავი ზედმეტ გაკიდებას და საქმეს დავუბრუნდეთ.

როგორც ზემოდ მოყვანილ ციტატებიდან დაინახავს მკითხველი, დიდი გონების ჭიდილი არ არის საჭირო, რომ დავინახოთ ძირითადი შედეგი ნიცშეიზმისა, რომელიც ევოლიუციონურ თეორიიდან გამომდინარეობს. იდეია მუდმივი დასრულებისა, ადამიანის გარდასახდომ სავსებურად აღნიშვნა უფრო უმაღლეს სახის მისაღებად, ყველა ზეკაცის იდეიაში ჩაისახა, ვითარცა ქვეყნიერების შემეცნებელ ტერმინში. და ამ იდეიას ჩვენ ვხედავთ ნიცშეს თხზულებებში, რათა „შექმნას ახალი ღირებულება“. იგი მოუწოდებს, „უცნობისათვის“ იბრძოლოს ყველამ. ყველა მიხვდება, თუ ვის ჰგულისხმობს ნიცშე ამ „უცნობის“ სახით. იგი შტირნერივით მოუწოდებს ყველას: „შემოიბერტყეთ ყოველივე ბორკილები, ნურავის ემსახურებით, უარჰყავით ყოველგვარი „სული“, შეიზიზღეთ ბრბო“, და რატომ? ახალი ღირებულების შესაქმნელად“,—გვიპასუხებთ ნიცშე. „იტანჯე და მოკვდი მსოფლიოს შემეცნებისთვის“, ვინაიდან ეს ახალი ღირებულება უნდა გამოიხატოს „ადამიანის დასრულებით“!—ასე ჰღაღადებს ნიცშე ზარატუსტრას პირით. „მე გასწავლი ხალხს არსებობის შემეცნებას: ეს შემეცნება არის ზე-კაცი!“—ამბობს იგი, ვინაიდან მან იცის, რომ „ცხოვრება ნიშნავს მუდმივ ახლისაკენ მისწრაფებას!“ ამ მუდმივი მისწრაფებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნიცშე დარვინის ახალ აჩრდილს გვაგონებს, იგი მისი მოციქულია, მისი მოძღვრების მხატვრულ ჩარჩოებში ჩამომყალიბებელი, ხალხთა შორის მის ახალის სახით გასავრცელებლად. იგი მზად არის შტირნერის მზგავსად ყოველიფერს ხელი ჰკრას რაც კი ზედ-მეტია და დარჩენა არ შეუძლიან. „ჩვენ გვეუბნებიან: ნუ დაიკავებთ ეტლსა, რომელიც ვარდება ძირს. მაგრამ ზარატუსტრა გეტყვით თქვენ: ის, რაც მზად არის, რომ დაეცეს, მოიშორევით ხელისკვრითა. რაც ჩვენს დღეს ეკუთვნის, ყოველიფერი ეცემა, იმსხვრევა... არავის ძალუძს, რომ ეს ნგრევა შეაჩეროს. მაგრამ ზარატუსტრას ჰსურს, რომ ხელი შეუწყოს ამ ნგრევას“. და რატომ? აქ ისევ დარვინის პასუხს მოგცემთ: ბრძოლაა არსებობისათვის, ძლიერებმა უნდა გაიმარჯვონ, სიკვდილი უძლურთ!

როგორც ვხედავთ, ნიცშეს წინამორბედებიდან შოპენჰაუერ-ვაგნერისა და შტირნერის გარდა ზეშთამგონებელად მუდამ თან სდევს დარვინი. შტირნერის მგზავსად ნიცშე თამამად იბერტყავს ძველთა ტრადიციულ ჩვეულებათ, სულის სიგლახაკეს და პიროვნების „მეს“ გაღმერთებას ჰფიქრობს. ზიზღი მისთვის უკიდურესი სიყვარულია, ტანჯვისა და სიკვდილისა არ უნდა ეშინოდეს ადამიანს, თუ კი მას აქვს იდეალი. და გზა, გზა საშინელის განცდისა, მან დაინახა დარვინიზმში. იგი თამამად ჰქელავს ბუნების კანონთა თანახმად საპყართა ხროვას, რომელიც ტყუილ-უბრალოდ დედამიწას ამძიმებს და მასაც გზას უღობავს. იგი აფუძნებს ზეკაცის სამეფოს, მაგრამ შიგ შესასვლელი გზა, როგორც ვსთქვით, არის გზა განცდისა, რომლის ბჭეთ შუა ჭიშკრის კარებთან ცეცხლის-მფრქვეველი ვეშაპი ცეცხლის ზვირთს ისვრის ადამიანის სულის გამოსაწრთობლად. ჩვენ უნდა შევიძულოთ „აწმყო“, რათა ვიცხოვროთ „მომავლით“, შევიძულოთ თვით „მოყვასიც კი“, ვინაიდან ჩვენ უნდა გვაფრთოვანებდეს მხოლოდ სიყვარული შორეულისადმი, რომელიც ყოველ სიყვარულზე უაღრესია.

ამ მუხლში კი განსხვავდებიან ნიცშე და შტირნერი. იმ დროს, როდესაც ნიცშე შორეულს შეჰხარის, შუქურსავით შესცქრიალებს, ვის გამოისად ნაპოლეონის მკაცრ მახვილს იპყრობს ხელში ყოველივე დაბრკოლების გადასაქელად, ვისთვისაც ეს ქვეყანა „მხოლოდ ბრძოლის ასპარეზია“, რომელიც დაცულ იქმნა მხოლოდ „მამაცთა განწირულების“ წყალობით (ზარატუსტრა),—შტირნერი აწმყოს კმაყოფილდება, ვინაიდან მან უწყის, რომ „ვინც უნდა იყოს იგი, სადაც ან როდის, მუდამ ადამიანია“, ადამიანი სრული, გამოუკვლეველი, მიუწდომელი, „ვითარცა ღმერთი“. ნიცშე შტირნერის მოწაფეა, როდესაც ზარატუსტრას პირით ღაღადს ჰყოფს, რათა დაინგრეს ყოველივე კერპთმსახურება, ძველი მცნებანი, ახალ მცნებათა მისაცემად, ახალ ცხოვრების ნაკადის საზიარებლად. მან უწყის, რომ „არსებობს“, იცის დეკარტის „cogito—ergo sum“. და, მაშასადამე, იბრძოლებს კიდეც, თვით თვალის წამწმებს მოიხპარს, ოღონდ პიროვნება ისევე ძლიერი ჰყოს, როგორც არაბეთის უდაბნოს ლომი, მისსავით ამაყი, არავითარ ბატონის მცოდნე, სრული, დამოუკიდებელი. მებრძოლს არა ჰსურს, რომ „ის დაინდონ“, იგი უზომოდ თაკილობს, როდესაც „ტანჯულს იბრალებს“, ამას იგი სთვლის პიროვნების დამცირებად; იგი წითლდება ყოველ გვარ მოწყალებაზე, ვინაიდან, ამაში ჰხედავს პიროვნების დაცემას, მის დაძაბუნებას. ზემოდ კი ჩვენ დავინახეთ, რომ ასეთნი საჭირონი არ არიან, ტყუილად ამძიმებენ დედამიწას, დაე, გასრესილ იქმნენო. ყველა ეს კი დარვინის თეორიის საილიუსტრაციო განმარტებაა, რომელიც ჰღაღადებს, რომ ცხოვრებაში სასტიკი ბრძოლაა, ბრძოლა არსებობისთვის. ეს ბრძოლა ჰხდება ბუნებრივ შერჩევის გამო. დაღუპულთა ნეშტზე ბუნება აღდგენს ახალს, ბუნება განაგრძობს თავის შეუწყვეტელ ორგანიულ მსოფლიოს დასრულებას; მომავალი გამარჯვებულთ ეკუთვნით, რომელთაგანაც დამოკიდებულია ახალი ღირებულების შექმნა. მაშ განა გაამტყუნებთ, თუ ნიცშეს ეჯავრება ულელის დადგმა, არსებულ მორალის ღაღადისი, მოთმინების შესახებ? ეს ხომ პიროვნების ალაგმვა იქნება! სწორედ ამიტომ არის, რომ ნიცშე გაიძახის: „მე მძაგს მორალის ყოველგვარი სისტემა, რომელიც მეუბნება: ამას ნუ გააკეთებ, ისე მოიქეცი, ეცადე, თავი შეიკავოო! ვინც რომ ასეთ მოთმინებას უქადაგებს ადამიანს, თქმა არ უნდა, რომ ის ავრცელებს ავადმყოფობას, რომლითაც ჰსურს ადამიანის პიროვნების დათრგუნვა“ (მხიარული მეცნიერება). მაშ „დაანგრიეთ, დაანგრიეთ, ძმებო, ყოველგვარი მცნებათ დაფები“! (ზარატუსტრა), ვინაიდან „ყველაზე ძლიერი ის არის, ვინც შესძლებს მარტოდ-მარტო ყოფნას!“ (ზარასტრუსტრა).

ასე წარმოუდგა ნიცშეს ასკეტის ძლიერი იდეალი. მას თვალწინ ეშლება მრავალნი მეცნიერებისთვის და კაცობრიობისთვის წამებულნი, ვინც რომ ასევე ღაღადებდნენ, ვისაც ამგვარივე იდეალი აღფრთოვანებდათ, ვისთვისაც განდეგილი ცხოვრება თანდაყოლილი გრძნობის შედეგი კი არ არის, არამედ ბუნების მოთხოვნილება, ვინაიდან მორალური და ინტელექტუალური ნაკლულევანებანი აჰრევენ ყოველიფერს და იძულებულსა ჰყოფენ ადამიანს განშორდეს დაბალს, ჭიაღუასავით მოფუსფუსე ბრბოს. თვით ვოლტერიც კი, რომელიც მუდამ საზოგადოებაში დატრიალებდა, იძულებული იყო ეთქვა ერთხელ: „დედამიწა ისეთ ულირსებით არის დასახლებული, რომლებთანაც ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია და არა თუ ცხოვრება, თვით დალაპარაკებაც მეტი არისო!“ ამასვე სჩიოდა ძველად გულ-ჩვილი, უწყინარი პეტრარკა, რომელიც განდეგილობას ღვთიურ სიმებით ჰიმნს უგალობდა:

„ყოველთვის ვეძებდი მყუდრო ცხოვრებას,
ზღვის ნაპირას თუ ტყეს და ველადა,
რომ ხალხისაგან შორსა მდგარიყავ,
ცის კამარაში სასრბოლველადა!“

ამავე აზრს გამოსთქვამს იგი თავის მშვენიერს თხზულებაში „De vita solitaria“ — რომელიც დიდებულ ტრაქტატს წარმოადგენს განდეგილობის შესახებ.

ძალიან მარტივად გვაუწყებს ქრისტიანი ანგელუს სილეზიუსი თავის მშვენიერ ბიბლიური ენით, რომ „იროდი მტრის დამახასიათებელი სიმბოლოა; იოსები—გონიერებისა, რომელსაც ღმერთმა ძილში მოახლოვებული უბედურობა აუწყა; ნათელი—ბეთლემსა ნიშნავს; ეგვიპტე—უდაბნოს, სადაც უნდა ყოველი სული მიილტვოდეს, რათა მწუხარებამ არ მოსპოს სოფლად“.

ამავე აზრს ანვითარებდა ჯორდანო ბრუნო: „ყველანი, ვინც კი სცდილან, რომ დედამიწაზე ციური ბედნიერება განეცადათ, ერთხმად დასძენდნენ, უებარი წამალი სოფლის განტევებაა და განდეგილი ცხოვრებაო“.

სწორედ ასეთსავე აზრს გამოსთქვამს სპარსელი საადი გულისტანში: „როდესაც დამასკიდან მოსულმა ჩემმა მეგობრებმა თავი მომაბეზრეს, იერუსალიმის მახლობლად დავბრუნდი უდაბნოში და პირუტყვებთან დავიწყე ცხოვრებაო“.

ასევე ჰფიქრობდა იბსენი ახლო წარსულში სტოკმანის პირით, რომ „დაუმარცხებელი ის არის, ვინც ბრძოლის ველზე მარტოდ-მარტო დარჩებაო“. მისი ბრანდი ასკეტიზმის აპოლოგიას ჰღაღადებს და ფიორდის მწვერვალთ მარტოდ-მარტო სთელავს. არას წარმოადგენს მშობლის ვაება, შვილების უნუგეშოდ მიტოვება, ყოველ მახლობელთა განწირვა. „მწვერვალისაკენ!..“ „ან ჰო, ან არა!“—ან სრულად გახდომა, ან და არარაობა!—აი მისი დევიზი.

ამ აზრს ანვითარებდა მაქს შტირნერი. ამასვე დასტიროდა შოპენჰაუერი, რომლის აზრითაც „მხოლოდ გახრწნილთ თუ შეუძლიანთ საზოგადოებაში დარჩენაო“ და ანგელიუსთან ერთად დასძენდა ჩვეულებრივი მჭმუნვარებით: „მძიმე რამ არის მარტოობა, მაგრამ თუ გაი-

და ინგლისს მოლაპარაკება აქვთ გამართული, მაგრამ ამ მოლაპარაკების შინაარსის გადმოცემა ეხლა მოუხერხებელიაო.

**მეჯლისი.**

დეპუტატებმა ახალ კაბინეთს „თავისუფლებისა და ეროვნულ დამოუკიდებლობის“ კაბინეთი დაარქვეს. დემოკრატთა მეთაურმა დეპუტატებს საფრანგეთის რევოლიუცია და გილიოტინა მოაგონა,—თან იმედი გამოსთქვა, რომ სპარსეთის რეაქციონერებსაც ესეთივე ბედი დაადგებათო.

— საფრანგეთის მეფის ლუი მეთექვსმეტესავით ძველ შაჰსაც მოეჭრება თავი თეირანის მოედანზეო, სთქვა ორატორმა.

**ენჯუმენები.**

პროვინციალური ენჯუმენები დეპეშებს უგზავნიან მეჯლისსა, და მაჰმედ-ალის მოქმედებას, პროტესტს უცხადებენ.

**ძველი შაჰი.**

მაჰმედ-ალისა ალარავინ ალარაფერი იცის. საით წავიდა არა სჩანს. თეირანში ამბობენ, ყველაფერი ამ ორ კვირას გამოირკვევაო.

**„ჭეშმარიტი რუსები“.**

ოდესიდან იტყობინებიან: „ოდესის რეზინისა“ და „ბოგატირის“ რედაქტორი გლობაჩევი და სამი „ჭეშმარიტი რუსი“ ასტრაბადს წასულან ძველი შაჰის მისაშველებლად.

**ჯარის მეთაურნი.**

ასტრაბადის ჯარის სარდლად შილ...ე მემალიკ დაინიშნა, ასტრაბადის გუბერნატორად სარდარ-სომახი, მასვე ჩაჰბარდა მთავარ-სარდლობა. ხამალანისა და ქირმანშაჰის გუბერნატორებად დაინიშნენ ბახტიარები სარდარ-ზახარი და სარდარ-ჟანგი.

**სიკვდილით დასჯა.**

თეირანში რეაქციონერთა დასჯას ელიან. უკვე შეადგინეს სია იმ პირთა, რომელთაც სიკვდილით დასჯა მოელით. ამავე დროს დემოკრატიულმა პარტიამ გამოსცა მანიფესტი, რომელშიაც ნათქვამია: „ხალხის დამოუკიდებლობისა და კონსტიტუციის დასაცავად ყველა ჭეშმარიტი კონსტიტუციონალისტი უნდა შეკავშირდეს და სახელმწიფოს უნდა მიეშველოს. მოემზადენით მსხვერპლისათვის!“

# ოსმალეთი და ჩერნოგორია

**დეპეშები**

19 მკათათვე.

**სტამბოლი.** მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, ოსმალეთის ცეტინიელმა ელჩმა უკანასკნელად მისცეს წინადადება მალისორებს, რომ პორტის მიერ დასახელებულ პირობებს დასთანხმდნენ. თუ მალისორები ამის უარს იტყვიან, ოსმალეთის ელჩმა ჩერნოგორიას უნდა სთხოვოს, მალისორებს იარაღი აჰყარეო. პორტას მორიგების იმედი აქვს. თუ ვერ მორიგდნენ გადაწყვეტილი აქვს, აბდულ-ფაშას თავისუფალ მოქმედების ნება მისცეს. რა ნაყოფი გამოიღო სადრედინ-ბეისა და მალისორების უკანასკნელმა მოლაპარაკებამ, ჯერ ცნობები არ მოსულა.

**უსკიუბი.** მრავალმა ჩერნოგორელმა და მალისორებმა საზღვარი გადალახეს და ოსმალების ჯარს დაეცნენ. ჯარმა მტერი მოიგერია. იანინიდან იტყობინებიან,—საქმე ძალიან ცუდად არისო. აჯანყებულთა ბრბო 3000 კაცამდე ავიდაო. სამხრეთ-ალბანეთში ვაჭრობა და მიმოსვლა შეჩერებულია.

**ვენა.** „ნეი-ფრეიე-პრესსე“ში დაბეჭდილია ჩერნოგორიის მეფის ნალაპარაკევი. მეფის აზრით, ოსმალეთის პოლიტიკა ალბანეთის საქმეში შემცდარი იყო. საქმე იქამდე გამწვავა, რომ ოსმალებმა პირობა არ შეასრულეს. მეფემ იმედი გამოსთქვა, საქმე მშვიდობიანად გათავდება. ჩერნოგორია იარაღს მხოლოდ მაშინ მიჰმართავს, როცა საქმე მეტად გამწვავდებაო. ჯერ საქმე საამისოდ არ გამხდარა, თუმცა კი ჩერნოგორია ალბანეთის არეულობით ბევრსა ზარალობს: გამოქცეულ ალბანელების შენახვა ჩერნოგორიას ოთხი მილიონი დაუჯდა, ვაჭრობა შეფერხდა, ქვეყანა დიდ ზარალშია. ჩერნოგორია ჯერ-ჯერობით სხვებს უთმობს ალბანელების საქმის გადაწყვეტაში. თუ ეს იმედიც გაცრუვდა, ჩერნოგორია თითონ გადასწყვეტს ამ საქმეს. მეფემ მობილიზაციის თაობაზე გავრცელებული ხმები უარ-ჰყო. ბოლოს მეფემ ნიკოლოოზმა ფეხის ტკივილები დაიჩივლა. პეტერბურგს წასვლა პოლიტიკურმა მდგომარეობამ დამიშალაო. როცა ეს აწეწილი საქმე დალაგდება, მაშინ გავემგზავრები პეტერბურგს, ხოლო იქიდან ვენას წავალო.

გაზეთი ამბობს, საჭიროა მშვიდობიანობა ჩამოვარდეს, თორემ ალბანელები ოსმალეთს ველარ გაუძლებენო. უცხო სახელმწიფოთა ჩარევა უაზრობააო. ოსმალეთმა ალბანელთა მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩერნოგორია იძულებული იქნება ომი დაიწყოსო.

„რეიხს პორტი იუწყება, პოდგორიცაში გამართული მოლაპარაკება კარგად დასრულდა და შეთანხმდნენო. ეხლა დასკვნაზე ლაპარაკობენ. ამ რამდენსამე დღეში მშვიდობიანობა ჩამოვარდებაო.

**ვენა.** სამინისტრომ გადასწყვიტა, თუ ალბანელები არ დაგვემორჩილნენ, ჩერნოგორიის საზღვრებს იქითაც დავუწყებთ დევნასაო. ამას გაზეთი „ცაიტი“ აღნიშნავს და ამბობს: ეს მხოლოდ ჩერნოგორისადმი მიმართული მუქარააო.

**ოსმალეთი და ჩერნოგორია.**

ჩერნოგორიასა და ოსმალეთის მოლაპარაკება როგორღაც მომრიგებელ გზას დაადგა. ჯერ-ჯერობით-კი არავითარ გადაჭრილ დასკვნამდის არ მისულან. ოსმალეთი „კეთილ-მეზობლურ დამოკიდებულების“ პრინციპს დასთანხმდა. ამ პრინციპის მიხედვით ოსმალეთი ჩერნოგორიას წერილობით შეატყობინებს თავის გადაწყვეტილებას, ხოლო ჩერნოგორიამ ალბანელებს უნდა შეატყობინოს ის, რასაც ოსმალეთი მათ დაუთმობს. როგორც ეტყობა, ჩერნოგორია მზადაა ალბანელებს სამშობლოში დაბრუნება ურჩიოს, მაგრამ ისეთ ფორმულას ეძებს, რომელიც ზნეობრივ თავდებობას მაინც გაუწევს იმისას, რომ ოსმალეთი დანაპირებს შეასრულებს.

ცეტინიელმა დიპლომატებმა, როგორც იყო, გამონახეს „კეთილ მეზობლურ დამოკიდებულებათა“ ფორმულა, მაგრამ ეს ფორმულა ჩერნოგორიას არ აკმაყოფილებს. ერთ გამოჩენილ ჩერნოგორელ მოღვაწეს უთქვამს: ეს ფორმულა არაფერს ამბობს. პირიქით, იგი ჩერნოგორიას დამოკიდებულ შუამავლის როლს აკისრებს. ჩერნოგორია, რომელიც მალისორთა საკითხის გადაწყვეტასა სცდილობს, ისეთ პირობებში უნდა იქნეს ჩაყენებული, რომ მალისორების სამშობლოში დაბრუნება მაინც მოახერხოს. რაც უნდა იყოს, ის ხომ ცხადია, რომ ყოველ მოლაპარაკებისა და დიპლომატიურ ფორმულათა შემუშავების შემდეგ, უკანასკნელი სიტყვა მაინც ისევ მალისორებს ეკუთვნით. ჩვენ მხოლოდ საერთაშორისო სათანადო საბუთი უნდა გვქონდეს, რათა შეგვეძლოს დავარწმუნოთ, რომ მათი მოთხოვნილებანი აღსრულებულ იქმნებიან. ყველა ამას ბოლო დროით უნდა მოელოს, თორემ აუტანელია ის მდგომარეობა, რაც ჩვენს საზღვრებზე ხდება. ევროპიელი დიპლომატია დიდად დაგვავალებს ჩვენცა და ოსმალეთსაც, მეტადრე მშვიდობიანობის იდეას დიდ სამსახურს გაუწევს, თუ მალისორთა საკითხს მეტი გულწრფელობით მოექცევა და მის გადასაწყვეტად რადიკალურ საშუალებას იხმარს. მაინც საქმის ყველაფერი ეტყობა, რომ იგი მორიგებისაკენ მიიწევს. რუსეთის ცეტინიელ ელჩს უთქვამს, მშვიდობიანობა არ დაირღვევაო. უცხო სახელმწიფონი, მართალია სხვა და სხვა მოსაზრებით, მაგრამ მაინც სცდილობენ, რომ ჩერნოგორიასა და ოსმალეთის დამოკიდებულება არ გაუმწვავდეთ და მორიგდნენო.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 მკათათვე.

**საზღვარ-გარედ.**

**ლისაბონი.** დამფუძნებელმა კრებამ 78 ხმით უარ-ჰყო საკონსტიტუციო პროექტის ის მუხლი, რომელიც გაზეთა თავისუფლებას აკანონებდა.

**ლოუღერბურგი.** ტყე ვლიიწვის. ცეცხლის ჩასაქრობად დრაგუნთა სამი ესკადრონი და ცეცხლის მქრობელი რაზმი მუშაობს.

**ლონდონი** მდ. ტემზაზე 5.500 მუშა გაიფიცა. მუშები თავდებობას თხოულობენ, რომ პატრონები დაპირებულს შეუსრულებენ.

**სიმლა.** ინდოსტანში დიდი გვალვაა. თუ გვალვამ ასე დდეს გასტანა, მთავრობა შიმშილობის ასაცილებლად ჩვეულებრივ ზომებს მიიღებს.

**რ უ ს ე თ ი.**

**ომსკი.** საგლეხო დაწესებულებათა დასათვალიერებლად საერობო განყოფილების მმართველი დიტვინოვი ჩამოვიდა.

**ლიბავა.** სავარჯიშო გემი „ოკეანე“ თავშესაქცევად ერთი ბატალიონით პეტერბურგს გაემგზავრა.

**რიგა.** ვერროს მაზრაში შეიპყრეს პეტერბურგში ბრუკვიჩისაგან 95,000 მანეთის ერთი წამრთმევთაგანი.

**სამარა.** საგუბერნიო ერობის კრებამ გადასწყვიტა მოუსავლობით დაზარალებულ მცხოვრებთ სათესლე ასესხოს და მათ დასახმარებლად მთავრობიდან 1 მილიონი მანეთი ითხოვოს.

**პოლტავა.** ერთი ხოლერიანი აღმოაჩინეს.

**ასტრახანი.** ეპიდემიის დაწყებიდან ხოლერით ავად გახდა 11, გარდაიცვალა 5.

ძვერა და ყოვლად გათახსირებული ადამიანი არა ხარ, შენს თავს მუდამ უდაბნოში იგრძნობო“. თითქმის ნიცშეს მზგავსად ერთსა და იმავე სიტყვებით, ერთსა და იმავე დროს უალდი, განსაკუთრებით იბსენი, გიუსმანსი და მრავალი დემონისტები და დეკადენტები ილტვიან საზოგადოებიდან რაღაც ეფემერ ქვეყანისაკენ. ის, რაც საზოგადოებას მოსწონს, მათ ზიზღსა ჰგვრის, ყოველივე ღირებული თავის ფასს ჰკარგავს და სულ წინააღმდეგ ღირებულებას იღებს.

„უნდა ერიდო,—ამბობს ნიცშე ერთს ადგილას,—რომ საზოგადოების გემოვნებაზე არ გაიარო, ვინაიდან კარგი ყოველთვის თავის მნიშვნელობას ჰკარგავს, რაწამს შენს მეზობელსაც კარგად ეჩვენება იგი“. თითქოს განგებ იმავე დროს ამავ აზრს გამოსთქვამს უალდიც: „ახ, ნუ მეუბნებით, რომ თქვენ მეთანხმებით! როდესაც მეთანხმებიან, ყოველთვის ვგრძნობ, რომ ვსტყუი“!

მაშ საზოგადოებიდან შორს განდგომა და განდეგილობა,—აი ნიცშეს მიერ არჩეული გზა იდეალის განსახორციელებლად. იგი ვერ დასთანხმდება ქრისტიანობას, ვერც ბუდდას, რომელიც თავის დებულებათ საზოგადოებრიობასა მშვიდობასა და სათნოებაზე ამყარებდა.

„საჭიროა,—ამბობს ბუდდა,—რომ ყველამ მშვიდობიანად ვიცხოვროთ“, ბედნიერი ცხოვრება მხოლოდ იქ შეიძლება, „სადაც ჩვენ არა ვძულვართ; ეს კი შესაძლებელია მაშინ, როცა ჩვენც შურსა და მტრობისაგან განვთავისუფლდებით“, „თავის დაჭერა ყოველთვის და ყოველგან კეთილს გულს შენა“, ბრამან ვუწოდებ მას, ვინც მოთმინებით იტანს შეურაცხყოფობას“, „იყავ მოწყალე“, „ნუ ებრძვი მტერსა შენსა ძალმომრეობით, არამედ სიყვარულით“!*) და ქრისტიანიზმიც რომ ამ ჩარჩოებს არ გასცილებია! მაშ ვით შეურიგდება ნიცშე ამ „ლაჩართა აპოლოგიას“ (ზარატუსტრა), რომლისათვისაც ეს მსოფლიო „ახალ ბრძოლისა და ომიანობის საშუალებაა“, რომელმაც არ უწყის „მშვიდობიანობა“, ზარატუსტრა ღრმად არის დარწმუნებული, რომ მზგავს მასწავლებელთა მოწოდება ნიშნავს თვით ჭეშმარიტების ჩაკვლას, — ამიტომ კითხულობს, თუ „რომელ ქვეყანაში მოხდა იმდენი უგუნურება, რაც ამ მშვიდობიანობის მქადაგებლებმა შესძლვნეს ამ ქვეყანასაო“ (ზარატუსტრა). ამიტომ საჭირო არ არის შებრალება, მოკითხვა, ეს „მიწათა მონის ცნებანი“, „ვიყვნეთ უპირველესად ეგოისტები, შეუდრეკელნი და უმოწყალონი“—(მხიარული მეცნიერება). შემდეგ ტიურინთან ერთად ჰკითხავს თავის სხეულს: „შენ თრთი? მაგრამ ერთი ათასად ითრთოლებ, სადაც შეგიყვან მე“, (მხიარული მეცნიერება). რა ადგილია ეს ადგილი, რომ ვირგილივით წინამძღოლობას უწევს ნიცშე სხეულს, ამ ათრთოლებულ დანტეს, რომელიც წარუყენებია რაღაც უცნაურ ჯოჯოხეთის კარის ბჭესთან?—გზა განდეგილობის, ასკეტისა, სულის გამომწრთობ-განმტკიცებელი მარტოობა..

„დიდებულ ასკეტო,— მბობს ნიცშე,—ეჯავრებათ ხმაურობა, ვისმე წინაშე ქედის მოხრა, დღიურ გაზეთების ღრიანცელი“ (მორალის გენეალოგია). და რატომ? იმიტომ, რომ სული კნინდება „ზედმეტი უსარგებლო გაზეთების კითხვით, პოლიტიკითა და ლუდის სმით“. გესლიანი და კინვით ამბობს იგი იმავე „მორალის გენეალოგიაში“. მისთვის ყველა ესენი კაცუნები არიან, ზედ მეტი ხალხი:

„შეჰხედეთ მხოლოდ ამ ზედმეტ ხალხს... ისინი ნაღველს ანთხევენ და ამას გაზეთებს უწოდებენ“ (ზარატუსტრა). „განა ვერ ამჩნევ ამ სულებს, რომელნიც მოსვრილ მჩვრებსავით ჩამოკიდულან? და ამ მჩვრებიდან შემდეგ ქაღალდებს აკეთებენ. განა არ გესმის, რომ სული აქ მხოლოდ სიტყვათა თამაშად გადაიქცა? წუმპეში ამოთხვრილ სიტყვებს ისვრიან და ესენი ამ ნარეცხებიდან გაზეთებს გვაწოდებენ“ (იქვე). მაშ რაა საჭირო? განშორება და მუდმივი მისწრაფება მწვერვალისაკენ! თითქოს განგებ ბრანდის სიტყვებს გვაგონებს იგი. მას არა სურს „ნახირის წევრობა“, იგი ჯვაროსნულ ომს უცხადებს ძველსა და ახალს, რაც კი ზეკაცის სამეუფეოს გზას შეუღობავს. მის სიხარულს საზღვარი არა აქვს, როდესაც მარტოობას განიცდის. იგი ამ დროს ერთი ათასად ძლიერია, უფრო თავისუფლად თარეშობს აზროვნების სალაროს ასპარეზზე.

აი, გ. ბრანდესს რანაირ ალტაცებული კილოთი სწერს:

„ახ, რა ბედნიერებაა! მე ველტვოდი ჩემ თავის გამორკვევას, მე ვეძებდი ჩემს თავს!—ეს იყო მუდმივი ჩემი დანიშნულება, რაზეც, აგერ ეს ათი წელიწადი მიჰქრის, რა დაუღალავად ვმუშაობ. ეხლა, როდესაც წელიწადი შემისრულდა, რაც მარტოდ ვცხოვრობ, შემიძლიან თამამად ვსთქვა, რომ სულის ბაზელში ვცხოვრობ-მეთქი. ახ, ვერ წარმოიდგენთ, თუ რა სიხარულს განვიცდი ამ განდეგილობაში. თავისუფლება მწყურს... მწყურს... და მოვიპოვებ კიდეც...—*) იგი განიხარებს ამ განდეგილი ცხოვრებით, ვინაიდან მხოლოდ მასში ჰგრძნობს „თავის ძლიერებას, დამოუკიდებლობას“.

ამნაირად, ნიცშე ეძებს ძლიერ პიროვნებათ, რომელთაც შეუძლიანთ ყოველიფერი დასთმონ, აღონ კვერთხი ამაყი, დაუძლეველი სულისა და შეუბრალებლად გაჰქელონ ყოველის ერი, განშორდნენ „ბრბოს“, მონათა პლეტეიას, მონათა ზნე ჩვეულებას. ბუდდიზმი, ქრისტიანიზმი —ეს პიროვნების დამლაჩრებელი— დამძაბუნებელი ბორკილია, მათში „პირუტყვის ინსტიქტმა მოიპოვა თავისი უაღრესი მფარველი“. ამაში ნიცშე ჰხედავს კაცობრიობის დაცემის მიზეზს, მიზეზს დეკადენსისას. და აი, სწორედ აქეთკენ არის მიქცეული ნიცშეს მთავარი ყურადღება, რათა დაწვრილებით გამოიკვლიოს სიკეთისა და ბოროტების ცნებანი. იგი განიხილავს ღირებულების მხრით ყველა იმას, რაც დღეს სათნოებად თუ ბოროტებად არის აღიარებული. ნიცშე თავის კვლევას აფუძნებს შოპენჰაურის პესსიმიზმზე, შტირნერის პიროვნების განთავისუფლებაზე და დარვინის ევოლიუციონურ თეორიაზე. მართალია, ნიცშე თავის განვითარების მასამე პერიოდში ხშირად მხოლოდ შოპენჰაურსა და დარვინს იხსენიებს, ისიც უარყოფითი მხრით, რასაც პოლემიკურ ხასიათს აძლევს, მაგრამ იგი თვით ვერა ჰხედავს, რომ იმავე ზოდემიკით ენათესავება მათ. ეს ნიცშეს მხრით ისეთი უნებური შეცდომა იყო, რომლისაგანაც ხშირად თავისუფალნი არ არიან სხვით უდიდებულესნი მოაზრენნიც კი.

დ. კახიძე.

(შემდეგი იქნება)

*) Dharmmpada, მუხლები 133, 197, შემდეგ იხილეთ გვერდი: 27, 321, 2024, 2241 და სხვ.

*) Fr. Nietzche Gessammelte Briefe.


**მუხრანის ხიდთან**

**სამკურნალო**

გ ა ი ხ ს ნ ა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подьема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ატენიანცი ნ. ა.** ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

**ნ. მ. ახპიხოვი**—(მედ. ექ.), ყურის ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. ახვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებანი დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გეორგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

**ქ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

**ო. გ. კალამკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიან**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

**გ. ა. მელკონიანი**—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata **„606“**-ით)

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. **ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—50) 0—103—108)**

**დოქტ. ნაკასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირების გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნაგახარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღნინი:** 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბეკტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან· და საბავშვო.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეივხკაია-ენგელი:** 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარცაშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნაგახარდიანი.**

(წ. (1168—87)

# განცხადებანი

„ს. პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია“.

1860 წ. დაარსებული.

ოქროს მედალი პარიზისა 1900 წ.

**საპონი „გაშლილი ია“.**




გლიცერინის საპონი „გაშლილი ია“ ახალმოგლეჯილ იის სუნის სრულ შთაბეჭდილებას აძლევს: აქვს უზვად გამაგრილებელი ქაფი და კანსაც სინაზეს აძლევს.

მთავარი საწყობი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (13—1293—2)

სალიანის თევზით მრეწველ და მოვაჭრეთ

**ძმ. ძეგველოვების**

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი**

**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

**ხიზილალა**

ახალი (Зернистая).

პ ა რ კ ი ს ა და კ ო ლ ო ფ ე ბ ი თ

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**

**მიღებულია დვინის ორაგული** (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო ჰაიხუნი ხიზილალა

გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიც 50 კ.

აგრე ...იღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1053—)


რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

სტამბა „სორაპანი“ მადათოვის კუნძული.